საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/32

ქ. ბათუმი 24 თებერვალი 2021 წ

ბსუ-ს ფაკულტეტებზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, ვ. ღლონტის 2020 წლის 09 ნოემბრის MES 6 20 0001079769, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რ. ბერიძის 2020 წლის 09 ნოემბრის MES 5 20 0001079740, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ლ. თურმანიძის 2020 წლის 09 ნოემბრის MES 2 20 0001079819, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ლ. ჯაყელის 2020 წლის 11 ნოემბრის MES 8 20 0001086484, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, თ. აბულაძის 2020 წლის 10 ნოემბრის MES 6 20 0001083034, და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გაიოზ ფარცხალაძის 2020 წლის 10 ნოემბრის MES 8 20 0001083810, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, მ. ქორიძის 2020 წლის 12 ნოემბრის MES 9 20 0001087709 და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მერაბ დიასამიძის 2021 წლის 20 თებერვლის MES 9 21 0000140286 მოხსენებით ბარათთა საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   ბ) ტურიზმის ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი.
   გ) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი;
   დ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე –4 სტუდენტი;
   ე) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 6 სტუდენტი;
   ვ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 5 სტუდენტი;
   ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე - 5 სტუდენტი;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიანტთა ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, თუკი გამოვლინდება თანაბარი ქულების მქონე კანდიდატები.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, საფინანსო - ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული

განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**